*საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის შესახებ განაცხადების მიღება*

**პროგრამის სახელწოდება:** „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში“
**პროგრამის N:** 19.2204.6-004.00

**მომსახურების შესრულების ვადა: 20.07.2020 – 30.11.2020**

**მუნიციპალიტეტებში და საჯარო რეესტრში მოქალაქეთა უკუკავშირისა და ადმინისტრაციული საჩივრის მექანიზმების შესწავლა**

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაკვეთით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამა „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში“ (GGLD) იწვევს დაინტერესებულ ადგილობრივ ორგანიზაციებს საკონსულტაციო მომსახურების შესახებ განაცხადების მისაღებად:

**სამუშაო აღწერილობა:**

1. **ზოგადი ინფორმაცია**

მიმდინარე წლის 1 აპრილს გადაიწყო ნხორციელება (GIZ) პროგრამამ „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში“. პროგრამის ძირითადი მიზანია ეროვნულ და ადგილობრივი საჯარო ინსტუტების გაძლიერება, იმისათვის რომ მათ შეძლონ მოქალაქეზე მორგებული სერვისების მიწოდება და დეცენტრალიზაციის პროცესის უზრუნველყოფა.

შესაბამისი მიზნის მისაღწევად პროგრამა მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას:

- მოქალაქეზე მორგებული სამართლებრივი და ინსტიტუციურლი ჩარჩოპრიობების გაუმჯობესებას
    - ძირითადი მონაწილეების ფინანსური თუ სერვისის მიწოდების რესურსების გაძლიერებას
    - მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმატებისა და საჩივრის მექანიზმების განმტკიცებას
    - რეგიონული განვითარების ინსტრუმენტების, პროცესისა და ინსტიტუციების გაძლიერება ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისთვის
    - ტრანსნაციონალური გამოცდილების გაზიარება

პროგრამის მესამე კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებულია მოქალაქეთა უკუკავშირისა და საჩივრების განხილვის მექანიზების ინსტიტუციონალიზაცია მუნიციპალიტეტებში. მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების

შესახებ, ასევე ადმინისტრაციულ სამართალში უფასო იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა მოწყვლადი ჯგუფებისთვის.

ზემოხსენებულის უზრუნველსაყოფად პროგრამის ფარგლებში იგეგმება სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება, იმისათვის რომ შესწავლილ იქნეს არსებული პრაქტიკა, სამართლებრივი თუ ორგანიზაციური ჩარჩოპირობები, ხარვეზები, რომელიც აბრკოლებს მოქალაქეთა უკუკავშირისა და საჩივრის მექანიზმების ეფექტიანად გამოყენებას, ასევე სასამართლოს კონტროლის ეფექტიან აღსრულებას, უფასო იურიდიული დახმარების უზრუნველყოფას მოწყვლადი ჯგუფებისთვის და მოქალაქეთა ინფორმირებას მათი უფლებების შესახებ. ამ ყოველივემ კი უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტების საქმიანობის გაუმჯობესება, მოქალაქეთა სერვისის მიწოდების ხარისხის ზრდა და დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, რათა მოქალაქემ შეძლოს ხარისხიანი და დროული სერვისების მიღება საცხოვრებელ ადგილზე. ამავდროულად აღნიშნული მექანიზმების უზრუნველყოფით ხელი უნდა შეეწყოს კორუფციის პრევენციას, შესაძლო კორუფციული ფაქტების გამოვლენასა და მასზე მყისიერი რეაგირებას.

2018 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება, კერძოდ ადამიანის უფლებებს დაემატა მუხლი 18. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები.

კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-4 აბზაცი განსაზღვრავს, რომ საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2005 წლის 1 აპრილს საქართველო მიუერთდა 15.X.1985 ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიას, რომლითაც აღიარა, რომ სწორედ ადგილობრივი ორგანოებს, რომლებსაც გააჩნიათ რეალური პასუხისმგებლობა, შეუძლია უზრუნველყოს ეფექტიანი და ამასთან, მოქალაქესთან დაახლოებული მმართველობა;

2019 წლის 31 დეკემბრის N 678 მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა 2020-2025 წლის დეცენტრალიზაციის სტრატეგია და 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა. აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრა 3 სტრატეგიული მიზანი.

სტრატეგიული მიზანი 1 – თვითმმართველი ერთეულის როლის გაზრდა საჯარო საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილის გადაწყვეტაში

სტრატეგიული მიზანი 2 - ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსებით

სტრატეგიული მიზანი 3 - სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება

მიმდინარე წლის თებერვლის თვიდან ახალმა ინფექციამ კორონა ვირუსის სახელით (COVID-19) მსოფლიო პანდემია გამოიწვია. საქართველოშიც შესაბამისად მრავალმა სირთულემ იჩინა თავი, რომელიც ქვეყანას არაერთი გამოწვევიდ წინაყე აყენებდა. სახელმწიფოს ცენტრალუთ თუ ადგილობრივ ორგანოებს მოუწიათ დისტანციური სამუშაზე გადასვლა, რაც საქმისწარმოებისა თუ სერვისების უხარვეზოდ ელექტრონულად მუშაობას მოითხოვდა. შესაბამისად ქვეყანაში არსებულმა საგანგენო ვითარებამ მუნიციპალიტეტები და რეგიონები ახალი გამოწვევებისა და ამოცანების წინაშე დააყენა.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, აღნიშნული კვლევამ უნდა წარმოაჩინოს სამართლებრივი და სტრუქტურულ ხარვეზები, რომელიც დაკავშირებულია მუნიციპალიტეტებში საჩივრისა და უკუკავშირის მექანიზმებთან. ამასთანავე შეისწავლოს სამართლებრივი კონსულტაციისა და უფასო იურიდიული დახმარების პრაქტიკა, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების დონე და საჭიროებები, ასევე მუნიციპალიტეტების საქმიანობაში არსებული ხარვეზები, კერძოდ ადმინისტრაციული წარმოებისა კუთხით, მუნიციპალიტეტის თანამშრომლების კვალიფიკაცია, ორგანიზაციული პროცესები და ჩარჩო პირობები, რაც აფერხებს მოქალაქისთვის ხარისხიანი სერვისის ადგილზე მიწოდებას და ზოგადად ხელს უშლის დეცენტრალიზაციის პროცესს, კერძოდ მუნიციპალიტეტებისთვის უფლებამოსილებების გადაცემას და თვითმმართველობის როლის გაზრდას. ამასთანავე ზემოხსენებული კვლევის ფარგლებში შესწავლილ უნდა იქნეს საერთო სასამართლოების პრაქტიკა შერჩეული მუნიციპალიტეტების სამშენებლო და ეკონომიკური საქმიანობის, ქონების რეგისტრაციისა და სოციალური მომსახურების საკითხებზე და მათი აღსრულება მუნიციპალიტეტების მიერ. კვლევის შედეგად შემუშავდება კომპლექსური რეკომენდაციები, რომელიც საფუძვლად დაედება მუნიციპალიტეტებში საჩივრისა და უკუკავშირის მექანიზმების დანერგვის კონფენციის შემუშავებას.

**საკონსულტაციო მომსახურების მიზანი**

- საკონსულტაციო მომსახურების მიზანია შერჩეულ 6 მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა უკუკავშირისა და ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის სამართლებრივი და ორგანიზაციულ-სტრუქტურული ჩარჩოპირობებისა და არსებული პრაქტიკის, საერთო სასამართლოების პრაქტიკის შესწავლა, კერძოდ მუნიციპალიტეტის სამშენებლო თუ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისთიცვს ნებართვების, უძრავი ქონების რეგინსტრაციის და სოციალური სერვისების მიღების კუთხით.
- ანალიზის შედეგად კომპლექსური რეკომენდაციების, მათი განხორციელების გეგმა და შესაძლო გზების შემუშავება.

**საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში შესასრულებელი ამოცანები**

საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში, მომსახურების გამწევი ვალდებულია განახორციელოს:

1. შერჩეულ 6 მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა უკუკავშირისა და ადმინისტრაციული საჩივრის მექანიზმების არსებული პრაქტიკის საფუძვლიანი შესწავლა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მუნიციპალიტეტებში სამშენებლო, ეკონომიკური საქმიანობის ნებართვების და ქონების რეგისტრაციის და სოციალური მომსახურების საკითხებს.
2. შეაწავლის შედეგად საკონსულტაციო მომსახურების გამწევმა უნდა შეიმუშავოს კომპლექსური რეკომენდაციები, ასევე მისი განხორციელების გეგმა და შესაძლო გზები.
3. მუნიციპალიტეტების შერჩევის მიზნით კრიტერიუმების შემუშავება და კრიტერიუმების საფუძველზე საკვლევი მუნიციპალიტეტების შერჩევა. კვლევა უნდა მოიცავდეს თბილისსაც.
4. კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც უნდა მოიცავდეს, როგორც ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრებსა და ჩაღრმავებულ ინტერვიუებს, საველე სამუშაოებს მუნიციპალიტეტებში, სამართლებრივი ჩარჩოსა და მუნიციპალიტეტში არსებული აქტების, მათ შორის ადმინისტრაციული აქტების სამაგიდო კვლევას. სტრუქტურებისა და შიდა ბიზნეს პროცესების დიაგრამების ვიზუალიზაციას.
5. საკვლევ საკითხებზე პრობლემებისა და საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების, მოსამართლეების, უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და მოქალაქეების მონაწილეობით სამუშაო შეხვედრების გამართვას (არაუმეტეს 4 შეხვედრისა).

2. საკონსულტაციო მომსახურების გამწევმა კვლევის ფარგლებში ყურადღება უნდა გაამახვილოს შემდეგ საკითხებზე:

1. **ადმინისტრაციული საჩივრის არსებული სამართლებრივი მოწესრიგება და პრაქტიკა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მუნიციპალიტეტის სამშენებლო თუ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისთივს ნებართვების და ასევე უძრავი ქონების რეგინსტრაციის საკითხებს.**

- **სამართლებრივი და ორგანიზაციული ჩარჩოპირობები**

1. რა სამართლებრივი აქტებით წესრიგდება მოქალაქეთა საჩივრებისა და უკუკავშირის მიღება და პროცედურები
2. როგორ ხორციელდება მათი გამოყენება პრაქტიკაში მაგ. ხანგრძლივობა, უკუკავშირის და საჩივრის მიზეზები
3. მუნიციპალიტეტების ორგანიზაციული სტრუქტურა და ფუნქციები საჩივრების და მოქალაქეთა უკუკავშირის მიღების შემთხვევაში
4. დადგენილი სტანდარტები მოქალაქეთა საჩივრების ან მოქალაქეთა უკუკავშირის თაობაზე (მათ შორის გრაფიკული ვიზუალიზაციით)

5. რა ტიპის მომსახურებაზე ან მუნიციპალიტეტის გადაწყეტილებაზე შეუძლია მოქალაქეს მიმართოს აადმინისტრაციული საჩივრით, ან მიმართოს უკუკავშირით
6. რომელი სერვისების შემთხვევაში შეუძლია მოქალაქემ ისარგებლოს გასაჩივრების უფლებით (დელეგირებული, დეკონცენტრირებული, ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში)
7. რა ფორმით და საშუალებით არის შესაძლებელი საჩივირის და/ან მოქალაქეთა უკუკავშირის წარდგენა

❖ **მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და ადამიანური შესაძლებლობები**

8. საჩივრებისა და მოქალაქეთა უკუკავშირზე პასუხისმგებელი პირები და მათი კვალიფიკაცია
9. აქვთ თუ არა გავლილი მომზადება ზოგად და სპეციალურ ადმინისტრაციულ სამართალში
10. ადმინისტრაციული წარმოებისა პრაქტიკა და იდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების ხარისხი (სამაგალითოდ უნდა იქნეს გაანალიზებული შერჩეულ მუნიციპალიტეტებში პრაქტიკა)
11. ხდება თუ არა მუნიციპალიტეტებს შორის პრაქტიკის გაზიარება? ამ კუთხით მუნიციპალიტეტების პრაქტიკაში სხვაობები და მისი გამომწვევი მიზეზები
12. არსებობს თუ არა საჩივრის ელექტრონულად წარდგენის შესაძლელობა და მისი ანალიზი

❖ **სტატისტიკური მონაცემები**

13. 2017-2020 წლის სტატისტიკა შემოსული და განხილული საჩივრების, მათი დაკმაყოფილების წილი
14. 2017-2020 წლების გასაჩივრებული სამშენებლო ნებართვების თუ ეკონომიკური საქმიანობის ნებართვის და უძრავი ქონების რეგისტრაციის საკითხებზე ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების სტატისტიკა

**2. მუნიციპალიტეტის სოციალური სერვისები საკითხებზე უკუკავშირის და ადმინისტრაციული საჩივრის სამართლებრივი მოწესრიგება და არსებული პრაქტიკა**

❖ **სამართლებრივი და ორგანიზაციული ჩარჩოპირობები**

1. მუნიციპალიტში არსებული სოციალურ სერვისები და მათზე უკუკავშირისა და ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა
2. რა სამართლებრივი აქტებით წესრიგდება მოქალაქეთა საჩივრებისა და უკუკავშირის მიღება და პროცედურები
3. როგორ ხორციელდება მათი გამოყენება პრაქტიკაში (მათ შორის გრაფიზული ვიზუალიზაცია)
4. მუნიციპალიტეტების ორგანიზაციული სტრუქტურა და ფუნქციები საჩივრების და მოქალაქეთა უკუკავშირის მიღების შემთხვევაში
5. დადგენილი სტანდარტები მოქალაქეთა საჩივრების ან მოქალაქეთა უკუკავშირის თაობაზე

6. რა ფორმით და საშუალებით არის შესაძლებელი საჩივირის და/ან მოქალაქეთა უკუკავშირის წარდგენა
7. 2017-2020 წლის სტატისტიკა შემოსული და განხილული საჩივრების, მათი დაკმაყოფილების წილი
8. ადმინისტრაციული წარმოებისა და იდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების ხარისხი (სამაგალითოდ უნდა იქნეს გაანალიზებული შერჩეულ მუნიციპალიტეტებში პრაქტიკა)
9. ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში როგორ ხორციელდება ენობრივი დახმარების უზრუნველყოფა
10. მთიან ან რთული რელიეფის დასახლებაში მუნიციპალიტეტების ტერიტორიული ხელმისაწვდომობა
11. მოქალაქეთა სამართლებრივი ცნობიერების ხარისხი მათი უფლებების შესახებ
12. ხდება თუ არა მუნიციპალიტეტებს შორის პრაქტიკის გაზიარება? ამ კუთხით მუნიციპალიტეტების პრაქტიკაში სხვაობები და მისი გამომწვევი მიზეზები
13. არსებობს თუ არა საჩივრის ელექტრონულად წარდგენის შესაძლელობა და მთლიანი პროცესის ანალიზი
14. სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება კვლევის მიზნისთვის შერჩეული მუნიციპალიტეტების მიერ

- **მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული და ადამიანური შესაძლებლობები**

1. საჩივრებისა და მოქალაქეთა უკუკავშირზე პასუხისმგებელი პირები და მათი კვალიფიკაცია
2. აქვთ თუ არა გავლილი მომზადება ზოგად და სპეციალურ ადმინისტრაციულ სამართალში
3. არსებობს თუ არა სპეციალური სამართლებრივი კონსულტაცია მოწყვლადი ჯგუფებისთვის და როგორია პრაქტიკა

- **უფასო იურიდიული დახმარება**

1. უფასო იურიდიული დახმარება და მისი მანდატი ადმინისტრაციულ სამართალში
2. შერჩეული მუნიციპალიტეტების მოსახლეობის 2017-2020 წლის სტატისტიკა, ვინც სარგებლობს უფასო იურიდული დახმარებით და რა კატეგორიის საქმეებზე
3. ადგილზე არსებული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მოქალაქეებს ასევე სთავაზობენ უფასო ირიდიულ დახმარებას მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობაში
4. საკითხების კატეგორია, მოქალაქეთა კატეგორია და მიმართვიანობის სტატისტიკა
5. არსებობს თუ არა რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელსაც აქვს რაიმე კონკრეტული სპეციალიზაცია სოციალურ საკითხებში

**3. საქართველოს საერთო სასამართლო პრაქტიკისა და აღსრულების ანალიზი**

1. კვლევის ფარგლებში ცალკე უნდა იქნეს შესწავლილი საერთო სასამართლოების ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებების პრაქტიკა.
2. კვლევის მიზნებისთვის უნდა შეირჩეს სასამართლო გადაწყვეტილებები, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა) კვლევის ფარგლებში შესწავლილი ადმინისტრაციული საჩივრები და მათზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც შემდგომ გასაჩივრდა სასამართლოში და მათზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება.

ბ) სამშენებლო ნებართვებზე, ეკონომიკურ საქმიანობაზე, ქონების რეგისტრაციაზე და სოციალური მომსახურების საკითხებზე არსებული პრეცედენტული გადაწყვეტილებები

გ) კვლევის მიზნებისთვის შერჩეული მუნიციპალიტეტის ტერიტორიულად განსჯადი პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებები.

3. კვლევის თითო თემატიკაზე შესწავლილ უნდა იქნეს სულ მცირე 20 სასამართლო გადაწყვეტილება.
4. თუ საქმეზე არსებობს სამივე ინსტანციის გადაწყვეტილება, მაშინ მათი შესწავლა უნდა მოხდეს ერთიანობაში.
5. სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზმა უნდა გამოავლინოს მუნიციპალიტეტების საქმიანობაში, ეკონიმიკურ და სამშენებლო სფეროში, ქონების რეგისტრაციასთან თუ სოციალურ მომსახურებასთან დაკავშირებული სამართლებრივი და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები.

4. მომსახურების გამწევმა უნდა უზრუნველყოს რეკომენდაციების განხილვა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, მუნიციპალიტეტებთან , GIZ-სა და სხვა მნიშვნელოვან მონაწილეებთან და რეკომენდაციების, განხორციელების გეგმისადა შესაძლო გზების საბოლოო ვერსიის შემუშავება.

5. მომსახურების გამწევმა უნდა უზრუნველყოს შუალედური და საბოლოო ანგარიშების წარმოდგენა. შუალედური ანგარიშის წარმოდგენა უნდა განხორციელდეს 31.09.2020-მდე, ხოლო საბოლოო ანგარიშის - 30.11.2020-მდე.

6. მომსახურების გამწევმა სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება უნდა განახორციელოს GIZ-თან და რეგიონული განვითარებისა და ინფრასრტრუქტურის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით და მათთან შეთანხმებით.

**სამუშაო შესრულების სავარაუდო პერიოდი:**

სამუშაოს დაწყება: 20.07.2020

სამუშაოს დასრულება 30.11.2020

შესრულებული სამუშაოს ანგარიშგება უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე. შეფასების ძირითადი შემაჯამებელი ნაწილის წარმოდგენა უნდა მოხდეს ასევე ინგლისურ ენაზე.

**განაცხადების მიღება და შერჩევა**

საკონსულტაციო მომსახურების განსახორციელებლად პარტნიორის შერჩევა მოხდება კონკურსის საფუძველზე.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ სამეწარმეო (LLC) და არასამეწარმეო იურიდიულ პირებს (NLC, NPO), არასამთავრობო ორგანიზაციებს/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს.

GIZ იტოვებს უფლებას, შეამოწმოს განაცხადში მოწოდებული ინფორმაცია. არაზუსტი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, განაცხადი გაუქმდება.

განაცხადების შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. ორგანიზაციის გუნდის სულ მცირე 5 წლიანი გამოცდილება ადგილობრივი თვითმმართველობის ან/და საჯარო მმართველობის სფეროში მსგავსი პროექტების განხორციელების კუთხით;
2. წარმოდგენილი ექსპერტების სულ მცირე 5 წლიანი გამოცდილება/შესაძლებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის ან/და საჯარო მმართველობის სფეროში მსგავსი კვლევების განხორციელების, სტრატეგიული გეგმებისა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესწავლის კუთხით *(შესაბამისი ინფორმაცია მითითებული უნდა იყოს წარმოდგენილი ექსპერტების რეზიუმეებში);*
3. ტექნიკური შემოთავაზების და პროექტის განხორციელების მეთოდოლოგიის ადეკვატურობა და სამუშაო აღწერილობასთან შესაბამისობა;
4. ბიუჯეტის ხარჯთეფექტიანობა.

**მომსახურების ხანგრძლივობა და ბიუჯეტი**

მომსახურების განხორციელების სავარაუდო პერიოდია 20.07.2020 – 30.11.2020.

შერჩეულ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, მომსახურების დაფინანსება მოხდება სამ ეტაპად. თავდაპირველად გაიცემა ავანსი, მეორე გადახდა შუალედური ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ, ხოლო საბოლოო გადახდა სამუშოს საბოლოო შესრულებისა და ჩაბარების შემდეგ.

განაცხადი წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ და ინგლისურ ენაზე.

**შემოთავაზების შინაარსობრივი ნაწილი უნდა მოიცავდეს შედეგ ინფორმაციას:**

*1. თავფურცელი*

ორგანიზაციის დასახელება და რეგისტრაციის ნომერი. იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა და ბეჭედი.

*2. პროექტის აღწერა*

*2.1 პროექტის დასახელება და დაწყება-დასრულების ვადა (თვე/წელი-თვე/წელი)*

*2.2. პროექტის მიზანი და ამოცანები*

*2.3 პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები და შესრულების განრიგი*

| # | ღონისძიება | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | კომენტარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | X | | | | | | *[მიუთითეთ საჭიროებისამებრ]* |
| 2 | Y | | | | | | |
| 3 | Z | | | | | | |
| ... | … | | | | | | |

*2.4 პროექტში ჩართული პირები და მათი ფუნქციები*

ჩამოთვალეთ იმ პირების ვინაობა და ფუნქცია ვინც მოიაზრება პროექტის განხორციელებაში და ასახულია შესაბამისად ბიუჯეტში. განაცხადს ასევე თან უნდა ერთვოდეს დასახელებული პირების რეზიუმეები.

*2.5. დანართი*

განაცხადს თან უნდა ერთვოდეს პროექტის განხორციელებაში გათვალისწინებული პირების რეზიუმეები და მომსახურების განხორციელების შესაძლებლობის დასაბუთება ორგანიზაციის მიერ.

დანართის სახით ასევე შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რასაც განმცხადებელი მიიჩნევს რელევანტურად.

**ფინანსური შემოთავაზება უნდა  უნდა მოიცავდეს შედეგ ინფორმაციას:**

*ბიუჯეტი (ლარში, დღგ-ს გარეშე)*

| # | კატეგორია | ერთეული | ერთეულის რაოდენობა | ერთეულის ფასი (GEL) | საერთო ღირებულება (GEL) | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **შრომის ანაზღაურება** | | | | | |
| 1.1 | | [თვე ან კაც-დღე] | | | | |
| 1.2 | | | | | | |
| 1.3 | | | | | | |
| | ... | | | | | |
| | ჯამი | | | | | |
| **2** | **სხვა ხარჯი** | | | | | |
| 2.1 | ტრანსპორტის ხარჯი | | | | | |
| 2.2 | ღამისთევის ხარჯი | | | | | |
| 2.3 | სასტუმროს (შეხვედრების) ხარჯი და ქეთერინგი | | | | | |
| 2.4 | დღიური თანხა პერდიემი | 15 ლარი/დღე | | | | |
| | ჯამი | | | | | |
| | | | | | | |
| | სულ ჯამი | | | | | |

ბიუჯეტში არ შეიტანოთ ის ხარჯები, რაც არ შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ასევე, არ ანაზღაურდება ორგანიზაციის მიმდინარე ხარჯები და მისი რაიმე სახის დავალიანების გასტუმრება.